ანალიტიკური წერა

დრო - 1 სთ. 10 წთ.

გაითვალისწინეთ: ამ ფურცლებზე შესრულებული ნაწერები არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

დავალება I – თემა მოცემულ საკითხზე

გამოთქვით თქვენი აზრი, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოცემულ თვალსაზრისს. ახსენით თქვენი პოზიცია, საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები არსებული რეალობიდან, ისტორიიდან, ლიტერატურიდან ან ფილმებიდან და ა. შ.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

სახელმწიფომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ჯანდაცვის სფეროს და უფრო მეტი თანხა გამოყოს მისი განვითარებისათვის, ვიდრე ქვეყანაში ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებისათვის.

შავი სამუშაოსთვის

დავალება II – მსჯელობის ანალიზი

მოცემულია ტექსტი, რომელშიც გარკვეული მონაცემების საფუძველზე გამოტანილია დასკვნა და წარმოდგენილია გამოკვეთილი პრობლემის გადაჭრის გზა.

გააანალიზეთ, რამდენად დამაჯერებელი და საკმარისია ეს მონაცემები წარმოდგენილი დასკვნის გამოსატანად; გამოავლინეთ მსჯელობის ყველა არსებითი ხარვეზი. განსაზღვრეთ, რა დამატებითი ინფორმაცია დაგჭირდებოდათ იმისათვის, რომ უკეთ შეგეფასებინათ დასკვნა; რამდენად ადეკვატური და დამაჯერებელია პრობლემის გადასაჭრელად შემოთავაზებული გზა.

ნაწერი არ უნდა იყოს 80 სიტყვაზე ნაკლები.

მთავრობამ დააფინანსა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო ენის ცუდად მცოდნე მოქალაქეებისათვის ცოდნის დონის გასაუმჯობესებლად სპეციალური სახელმძღვანელოს შედგენას. სახელმძღვანელო მოამზადა სპეციალისტების ჯგუფმა და ის შესაბამის კონტინგენტს დაურიგეს. ერთი წლის შემდეგ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ იმ მოქალაქეთაგან, რომლებსაც სახელმძღვანელო გადაეცათ, მხოლოდ ნაწილმა გაიუმჯობესა სახელმწიფო ენის ცოდნის დონე.

ამიტომ სახელმძღვანელო უარყოფითად შეაფასეს და ახალი სახელმძღვანელოს შექმნა ავტორთა სხვა ჯგუფს შეუკვეთეს.

შავი სამუშაოსთვის